

5 თებერვალს ჩატარდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 33-ე სხდომა, რომელზეც, დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხის შესაბამისად, უნივერსიტეტსა და "ბანკ რესპუბლიკას" თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებსა და ბანკის ახალ შემოთავაზებებზე იმსჯელეს.

სხდომას ესწრებოდა "ბანკ რესპუბლიკას" თბილისის ცენტრალური ოფისის მენეჯერი, ბატონი ვანო ჯაფარიძე.

სხდომაზე სიტყვით გამოსულმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯონი აფაქიძემ და კანცლერმა, პროფესორმა შოთა ახალაიამ ვრცლად ისაუბრეს უნივერსიტეტისა და "ბანკ რესპუბლიკას" ურთიერთთანამშრომლობის შესახებ და კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ეს თანამშრომლობა პოზიტიურად ვითარდება.

თავის მხრივ, ვანო ჯაფარიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ "ბანკ რესპუბლიკასთვის" პრიორიტეტულია საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, სოხუმის უნივერსიტეტი კი ის დაწესებულებაა, რომელთანაც "ბანკ რესპუბლიკას" უკვე რამდენიმე წელია სტაბილური და პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს. როგორც სტუმარმა აღნიშნა, ბანკის ხელმძღვანელობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება სსუ-სა და ბანკს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების შესახებ, რისთვისაც მალე სსუ-სა და "ბანკ რესპუბლიკას" შორის მემორანდუმი გაფორმდება. აკადემიური საბჭოს სხდომაზე თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებების გეგმაც დაისახა.